ხელშეკრულება № 3.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ნინოწმინდა 07.02. 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა ნერსესიანის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „არუშან კაზარიან , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის არუშან კაზარიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1წინამდებარე ხელშეკრულების საგანია (CPV 31600000) ელექტრონივთები და აქსესუარები ლარის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით ნაცვლო

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 394.90(სამას ოთხმოცდათოთხმეტ) ლარს და 90 თეთრს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან ხელშეკრულების ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ნინოწმინდა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4 ხელშეკრულებაზე კონტროლს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

5.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულებით საქონელის მიწოდენის ვადაა 30 აპრილი 2023წლის. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით .

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლა
ს/კ 236688919

მის: ნინოწმინდა.სოფ.ღულალისი

ტელ: 551 08 61 81

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE66LB0121135173515000

დირექტორი

_____

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

ი/მ/“ არუშან კაზარიან’
საიდენტიფიკ.კოდი; 320010011218
ბანკი: TBC

GE83TB7539645063600035
ტელ;574152517

არუშან კაზარიან

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1.შესყიდვის ობიექტია:

1. შესყიდვის ობიექტია:

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	TOLSEN TOL885-51016 თაროს სამაგრი 250x 300 მმ	ცალი	2	4.00	8.00
2.	ძავცის ელექტრონული სტაბილიზატორი CHP1-1-5 BA SQ1201-0006 TDM	ცალი	1	330.00	330.00
3	სწრაფი მონტაჟის დუბელი 6x 60	ცალი	6	0.15	0.90
5.	ვილკა რგოლით(დამიწებით 16ა)SQ1806-0005	ცალი	1	3.00	3.00
7	დენის სანათი პერენოსკა მანქანისათვის LED - ნათების 5მტ.572	ცალი	1	20.00	20.00
8	ტრაინიკი	ცალი	1	11.00	11.00
9	Led განათება მრგვალი 18 W6500	ცალი	2	11	22.00
					394.90 ლარი

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ.ყულალისის
საჯარო სკოლის დირექტორი: /ნათელა ნერსესიან/

ი/მ „არუშან კაზარიან“: / არუშან კაზარიან/

მიღება-ჩაბარების აქტი № 3.

ქ.ნინოწმინდა „ 07 თებერვალი 2023 წ.

ი/მ „ არუშან კაზარიან“-მა ჩააბარა, ხოლო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლის დირექტორმა ნათელა ნერსესიანმა მიიღო ხელშეკრულებით #3, 07.02.2023 წ. ელექტრო ნივთები -
394.90 ლარის ღირებულების.

ჩააბარა მიიღო

ა.კაზარიან ნ.ნერსესიან